



Food and Agriculture Organization
of the United Nations

AGROVOC

სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროს ურთიერთდაკავშირებული ცნებების ჰაბი



გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ხელს უწყობს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნის გაზიარების გაუმჯობესებას, მონაცემების ხილვადობის და ხელმისაწვდომობის გაზრდას. AGROVOC, კონტროლირებადი ლექსიკონი და თეზაურუსი, რომელიც მოიცავს FAO-ს საქმიანობის ყველა სფეროს, აადვილებს ამ მონაცემების სტანდარტიზებას და მათი ძიების პროცესს.

AGROVOC არის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ცნებების უდიდესი ურთიერთდაკავშირებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი ღია მონაცემთა ერთობლიობა. დოკუმენტებისა და სხვა საინფორმაციო რესურსების აღწერის, ინდექსაციისა და მოძიების მიზნით 1980-იანი წლების დასაწყისში შემუშავებული ეს ერთობლიობა ბეჭდური კატალოგებიდან სემანტიკურ ვებ-ტექნოლოგიამდე განვითარდა.

AGROVOC სრულიად უფასო თეზაურუსია და ხელმისაწვდომი ონლაინ რეჟიმში, და ამასთან ერთად გააჩნია ბმულები (კავშირები) ცოდნის სხვა მრავალენოვან სისტემასთან, რაც სხვადასხვა წყაროს მონაცემების შედარების საშუალებას იძლევა. მას გააჩნია ფართო დიაპაზონის საშუალებები ტექსტის მოპოვების, ინფორმაციის მოძიების, მონაცემთა შემოწმებისა და მართვისთვის. ის აგრეთვე საშუალებას იძლევა განხორციელდეს ციფრული რესურსების მეტამონაცემების ანოტირება, ისეთის, როგორიცაა კვლევითი მონაცემების ერთობლიობა.

AGROVOC არის ცნებების, ტერმინების, განმარტებებისა და კავშირების სტრუქტურირებული კოლექცია. სურსათის და სოფლის მეურნეობის ნებისმიერი ასპექტი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ისეთი ცნებებით, როგორიცაა „სიმინდი“, „შიშხილი“, „აკვაკულტურა“ ან „მეტყვეობა“. ეს ცნებები გამოიყენება რესურსების ბუსტი იდენტიფიცირებისთვის, რაც უზრუნველყოფს სტანდარტიზებულ ინდექსირებას და ეფექტური ძიების ჩატარებას.

ამჟამად AGROVOC აერთიანებს 37 500-ზე მეტ ცნებას და 750 000-ზე მეტ ტერმინს 40-მდე ენაზე, რაც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს მოიძიოს მონაცემები საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილების მიხედვით.

AGROVOC-ის უდიდესი გავლენა განპირობებულია მისი შესაძლებლობით გაამარტივოს მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ხილვადობა სხვადასხვა საგნობრივ სფეროებსა და ენებს შორის. ენათა ასეთი მრავალფეროვნება და დაფარვის სიღრმე მიიღწევა მხოლოდ ეროვნული და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების ნებაყოფლობითი სარედაქციო ქსელის მეშვეობით, რომელიც მოიცავს სამთავრობო ორგანიზაციებს, კვლევით ინსტიტუტებს, ფონდებს, აკადემიებს, უნივერსიტეტებს, ეროვნულ ბიბლიოთეკებსა და ტექნიკურ ქსელებს.

FAO-ს ხელმძღვანელობით AGROVOC-ის სარედაქციო ქსელის წევრები ერთად მუშაობენ სხვადასხვა ენის ვერსიების და საგნობრივი სფეროების შესანარჩუნებლად. ასეთი საქმიანობის მოტივაცია ორგანიზაცია - გამოიყენონ თეზაურუსი მშობლიურ ენებზე ეროვნული სისტემების ფარგლებში და ასევე გაზარდონ ამ ენებზე კვლევების ხილვადობა მსოფლიო აუდიტორიისთვის. ამჟამად, 25 ქვეყნის 30-ზე მეტი ორგანიზაცია იყენებს საკუთარ გამოცდილებას, რომ გაამდიდროს AGROVOC ახალი ცნებებით და ტერმინებით. ექსპერტთა საზოგადოებებთან თანამშრომლობით თეზაურუსი აგრძელებს საკუთარი დაფარვის არეალის გაფართოებას სპეციალიზებული საგნობრივი სფეროებით, რომლებსაც ძალუძთ ისარგებლონ AGROVOC-ის ისეთი ინფრასტრუქტურებით, როგორიცაა მინის მართვა, კანონი და პოლიტიკა, ნიადაგმცოდნეობა, თევზჭერა და წყლის მეცნიერებები.

AGROVOC-ის სარედაქციო სამოგადოების წევრი ორგანიზაციების სია 2020

- Agroiinstitut Nitra (სლოვაკეთის რესპუბლიკა)
- Aquatic Sciences and Fisheries Abstracts (ASFA)
- Belarus Agricultural Library, National Academy of Sciences (ბელარუსი)
- Biblioteca Storica Nazionale dell'Agricoltura (იტალია)
- BonaRes Data Centre and Leibniz Centre for Agricultural Landscape Research (ZALF) (გერმანია)
- Central Scientific Agricultural Library (რუსეთის ფედერაცია)
- Centre de coopération internationale en recherche agronomique pour le développement - CIRAD (საფრანგეთი)
- Chinese Academy of Agricultural Sciences (ჩინეთი)
- Czech General Institute of Agricultural Economics and Information (ჩეხეთი)
- Ministry of Agriculture and Forestry Department of Training and Publications (თურქეთი)
- Empresa Brasileira de Pesquisa Agropecuária - Embrapa (ბრაზილია)
- GAK Education, Research and Innovation Nonprofit Co, Szent Istvan University (უნგრეთი)
- Monitoring, Evaluation and Learning Team (MEL), International Center for Agricultural Research in the Dry Areas (ICARDA)
- Institute Techinformi of the Georgian Technical University (საქართველო)
- Iranian Research Institute for Scientific Information and Documentation (ირანი)
- Thai National AGRIS Centre, Kasetsart University (ტაილანდი)
- Kuratorium für Technik und Bauwesen in der Landwirtschaft e. V. (KTBL) and Leibniz-Informationszentrum Lebenswissenschaften (გერმანია)
- Land Portal Foundation (LPF)
- Matica Srpska Library (სერბეთი)
- National Agriculture and Forestry Research Institute (NMBU) (ლაოსი)
- Ministry of Agriculture and Forestry, Department of Training and Publication (NMBU) (ნორვეგია)
- The Republican Scientific Agricultural Library of the State Agrarian University of Moldova (მოლდოვას რესპუბლიკა)
- Ukrainian Institute of Scientific and Technical Expertise and Information (უკრაინა)
- Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO)
 - * AGRIS, the International System for Agricultural Science and Technology
 - * FAOLEX
 - * Technologies and Practices for Small Agricultural Producers (TECA)



შეიტყვეთ მეტი
AGROVOC-ის შესახებ:
www.fao.org/agrovoc



თუ თქვენს ორგანიზაციას სურს
შეუერთდეს AGROVOC-ის
სარედაქციო საზოგადოებას,
გთხოვთ, დაუკავშირდეთ
agrovoc@fao.org



ზოგიერთი უფლება დაცულია. ეს ნამუშევარი
ხელმისაწვდომია CC BY-NC-SA 3.0 IGO ლიცენზიით
დობაინი: Steers McGillan Eves